


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ტოტოტიც ბეჭდუდი სიფყვას, ცყუილებით და ჭბრბით ბუძთის გაცანა ცუელა უჯადრისბბაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.
სამშაბათი, 31 მარტი, 2015 წელი.
№59 (7704)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

ბესო ხარქიანის მკვლელობა ნაცების დანაშაულებრივი სისტემის გაგრძელება!



კამოცხარეზურა მკურელობის ჟიონია

საქართველო-ში ხელ შეუხე-ბელი რომ იყო – ან ნაცი უნდა იყო, ან პიდა-რასტი. არც ერთი თუ არ ხარ – ან ქვეყ-ნიდან უნდა წახვიდე, ან ხელიდან. **ოტია იოსელიანი**



NDI-დან,

21 მარტს, გაზაფხულის ბუნიობის დღეს, თუ რამე დაიწყო, მხოლოდ ნაცბანდის დასასრული, და სწორედ ამან შეაშფოთა ნაცების ამერიკელი პატრონები. IRI „დროული“ რეიტინგებიც სწორედ ამ შეშფოთების გამოძახილია და სხვა არაფერი!

IRI-მდე...

ვინ იქნება შედეგი?!



ქალთა მიმართ ძალადობა მკვინვერებს
იმედია „ოჯანში ძალადობა“ ზოგადად გას-ცდება თავის ვინრო ჩარჩოს. მასზე ჯერ მხოლოდ საკონფერენციო დარბაზებსა და საექსპერტო ჯგუფებში მსჯელობენ, მაგრამ დღეს თუ ხვალ საზღვრებს დატოვებს და პო-ზიტიურ როლს ითამაშებს სამოქალაქო სა-ზოგადოების ფორმირების პროცესში.

ნანა ღვლაშვიანი: ამერიკამ უნდა გადახედოს თავისი კვლევის მეთანიზმებს, თორემ..



ქორნელი კაკაჩია: ერთმა ბო-პოლიტიკურმა სამკუთხედმა მეორე სამკუთხედი უნდა დააბალანსოს



საკახო ჯაჭიოძე ღვინო თუ არ მიაქვთ, სხვას რას იყიდია?!

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვებან ვერ ნახავ!..

ინფორმაცია

გიორგი მარგველაშვილი თბილისიდან ბათუმში მატარებლით გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოს ეწვევა, სადაც სასამართლოს ახლადარჩეული წევრის მერაბ ტურავას მიერ ფიცის დადების ცერემონიალს დაესწრება.

კოტ დ'ივუარელი ჩვენს რაიონებს ეხმარება

იუსტიციის სამინისტრომ გუშინ კოტ დ'ივუარის სამთავრობო დელეგაცია მიიღო. უწყების ინფორმაციით, იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძემ სტუმრებს სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები გააცნო.

შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

17-კაციანი დელეგაცია, რომელშიც მთავრობის წევრებთან ერთად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ექსპერტებიც შედიან, საჯარო სერვისების რეფორმირებით არის დაინტერესებული.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მზადაა, დელეგაციის წევრებს საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს:

„მე ვფიქრობ, ეს ვიზიტი ორმხრივად სასარგებლო იქნება, ამგვარი თანამშრომლობა ძალიან ბევრი ინოვაციური პროექტის დაინერგვას უწყობს ხელს; ესმარება ინოვაციური იდეების ფორმირებას; გვაძლევს შესაძლებლობას, ვიქონიოთ მეტი ინფორმაცია, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ სფეროში სხვა სახელმწიფოებში“, – განაცხადა სარჯველაძემ.

იუსტიციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

თბილისში დადგინდა და დღესაც მოაწერეს ხელი. იუსტიციის სამინისტროში 30 მარტს მოაწერეს ხელი.

იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ორი სამინისტროს თანამშრომლობის ძირითადი მიზანი ახალგაზრდობში მართლმშენებლის ამბიციების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება, ასევე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაა.

ამ მიზნით დაიგეგმება წარმატებული სპორტსმენების ვიზიტები იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ საზოგადოებრივ ცენტრებში, რომლებიც საქართველოს უკვე 20 სოფელში ფუნქციონირებენ.

განხორციელებული სხვადასხვა სახის ღონისძიება კონფლიქტის საზღვრისპირა სოფლებში მშვიდობის მშენებლობისთვის; ეროვნული უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

მხარეები ითანამშრომლებენ დანაშაულის პრევენციის პროგრამებში ჩართული პირებისა და მათი ოჯახების სარეაბილიტაციო პროგრამების ფარგლებში. ამისათვის სამინისტროები და მათი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ები მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ და მონაცემთა ელექტრონულად გაცვლის სისტემას გამოიყენებენ. იგეგმება პრევენციის, ყოფილ პატიმართა რესოციაციის, რეაბილიტაციისა და განრიდების-მედიაციის პროგრამებისათვის სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების, სპორტული აქტივობების, ბანაკების, სემინარების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში თანამშრომლობა.

მემორანდუმი იუსტიციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებს შორის ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე.

გამოცხადებული

ამერიკამ უნდა გადახედოს თავისი კვლევის შედეგებს, თორემ..

„მხიროვნება“ ღარიბაშვილთან ურუნალიტიკების შეხვედრასა და IRI-ის კვლევის შედეგებზე ანალიტიკოსის ნანა დემდარიანი ესაუბრა

– ქალბატონო ნანა, რა აზრის ხართ პრემიერ-მინისტრის 21 მარტის პრესკონფერენციაზე?

– პრემიერის ურუნალიტიკებთან ურთიერთობას ზენოლად ვერ შევფასებ. ურუნალიტიკების უკმაყოფილების მიზეზსაც ვერ ვხედავ, თუმცა, შიდა ქართლის გუბერნატორმა რეგიონულ მედიასთან საერთო ენა უნდა გამოძებნოს.

ჩვენ ხომ გვახსოვს, რას ჰქვია ნამდვილი ზენოლა? მეპატრონეებს ტელევიზიებს რომ ართმევენდნენ, არბევდნენ... გაიხსენეთ ტელეკომპანია „იბერია“, იქ „იმედზე“ ადრე შეცვივდნენ და დაარბიეს, უამრავი ურუნალ-გაზეთი დახურეს და ეს უახლოეს წარსულში ხდებოდა... აი, ამას ჰქვია მედიაზე ზენოლა!

– რა მოგეწონათ და რა – არა პრემიერ-მინისტრის გამოსვლაში?

– არ მომეწონა პრემიერმა სოციოლოგურ კვლევებს უსაქმრობა რომ უწოდა. ხელისუფლებას პიარის უგულვებელყოფა ხე-

ის არ მოუტანს. საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს მათ მიერ გაკეთებული საქმეების შესახებ. თუ რაიმე მნიშვნელოვანს გეგმავს, ეს წინასწარ უნდა ეცნობოს ურუნალიტიკებს, რაზეც სამინისტროები და დეპარტამენტები თავად უნდა ზრუნავდნენ.

არ მომეწონა პრემიერის სურვილი, რომელიც გუბერნატორის ურუნალიტიკისთვის ჩივილს შეეხებოდა.

მომეწონა პრემიერის დამაჯერებლობა, ინფორმირებულობა, გამბედაობა, უყურადღებობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ (აქამდე რატომღაც მათ თვალში შესცქეროდა ხელისუფლება).

– ენდობით თუ არა IRI-ის კვლევებს და, ზოგადად, უნდა ტარდებოდეს თუ არა ასეთი კვლევები?

– ასეთი გამოკვლევები აუცილებლად უნდა ტარდებოდეს მთავრობის ან ავტორიტეტული სოციოლოგების მიერ. IRI-ის კვლევის მიხედვით, 5% აჩვენა



12%-იანმა ბურჟანაძემ, მარგველაშვილის 62%-ზე რა ვილაპარაკო... „ლეიბორისტებს“ 6% და ბურჟანაძეზე მაღალი რეიტინგი როგორ აქვთ?! ჩემი აზრით, ამერიკამ აუცილებლად უნდა გადახედოს თავისი კვლევის შედეგებს, თორემ მეტი აღარ უნდა იწუნოს, რატომ ბლარსკვრათ მისი. ერთადერთი რამ დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, მისთვის მისაღები ოპოზიციონერი მხოლოდ ირაკლი ალასანიანია.

ესაუბრა ირაკლი ალასანიანი

ქარიშხალი სამებრელოში

ქლივირმა ქარმა ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის 6 სოფელს (ქვედა ჩხორონწყუ, ლესიჭინე, ახუთი, ნაკიანი, კირცხი, ზუმი) მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ქარმა 40 საცხოვრებელი სახლი და ადმინისტრაციული შენობა დააზიანა, ნაწილს სასურავი მთლიანად ახადილი აქვს, ნაწილს კი, ნაწილობრივ.

ჩხორონწყუს გამგეობის ინფორმაციით, დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები, სოფელ ლესიჭინესა და ქვედა ჩხორონწყუში საავტომობილო სავალ გზაზე ნაქცეულია ხეები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის სავალი ნაწილის განმედიტი სამუშაოები.

დაზარალებული ოჯახები მონახულა მუნიციპალიტეტის გამგებელმა დათო გოგუამ.

ნალექების რაიონში ძლიერმა ქარმა რამდენიმე საცხოვრებელ კორპუსს და კერძო სახლს სასურავი გადახადა. როგორც ნალექების რაიონის გამგებელმა გოგა გულორდევამ განაცხადა, დაზიანებულია რამდენიმე კორპუსი, ძირითადად კერძო სახლები. ერთ საცხოვრებელ კორპუსს მთლიანად გადახადილი აქვს სასურავი, ოთხს კი, ნახევრად, დაზიანდა 2 საჯარო სკოლის სასურავიც.

ქარის შედეგად დაზიანდა 7 ავტომობილი, რომლებსაც სასურავი დაეცა. სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები.

სტიქიის ადგილზე იმყოფებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორის პირველი

მოადგილე კობა ქანთარია, ნალექების მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდევამ, გამგებლის მოადგილე გიორგი ლუკავა და გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის წარმომადგენლები. სტიქიის დამდგენი კომისია ადგილზე სწავლობს მიყენებული ზარალის ოდენობას.

ზუგდიდში ძლიერმა ქარმა სამი საჯარო სკოლა დააზიანა. ძლიერმა ქარმა ზუგდიდის პირველ, მესამე და სოფელ რუხის საჯარო სკოლებს სასურავი გადახადა, რის გამოც აღნიშნულ სკოლებში სასწავლო პროცესი შეწყდა.

ზუგდიდის რესურსცენტრის ხელმძღვანელის გონერ პაპავას ინფორმაციით, პირველ საჯარო სკოლაში საგანგებო სიტუაციის სამსახურის თანამშრომლები სასურავის გამაგრებით სამუშაოებს ატარებენ. მისივე ცნობით, ზუგდიდის მესამე და სოფელ რუხის სკოლების ალდეგანას განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს.

ზუგდიდში ძლიერი ქარის გამო, რამდენიმე სოფელიც დაზარალდა. გამგეობის პრესსამსახურის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ძლიერმა ქარმა სასურავი დეფინიტო კომპაქტურად ჩასახლებულ რამდენიმე ობიექტს და 7 კერძო სახლს გადახადა. მათივე ინფორმაციით, ასევე დაზიანებულია რამდენიმე საბავშვო ბაღისა და სოფელ ჩხორის გამგეობის შენობის სასურავი.

ინფორმაციი

ნარგანიას დროს მერიის ავტობარკი არ განახლებულა

მერიის შემოჭერილი ქაბარი 2 მილიონსაც ვერ წვდება

თბილისის მერიის ქაბარის შემოჭერას 1,8 მლნ ლარის ფარგლებში აპირებს, ოპოზიცია კი ასეთი ნაბიჯით უკმაყოფილოა. განსაკუთრებული აქცენტი ავტომობილების ხარჯზე კეთდება.

თბილისის მერიის ავტობარკის ხარჯების შესწავლის ინიციატივით გუშინ თბილისის საკრებულოს დეპუტატებს გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარემ ზაზა ვეკუამ მიმართა. მისი ინფორმაციით, მერიის ავტობარკში 267 ავტომობილია, რომელთა შენახვისა და მომსახურების წლიური ხარჯი 2 500 000 ლარზე მეტს შეადგენს.

„267 ავტომობილიდან, მხოლოდ 104 მანქანა თბილისის 10 გამგეობას ემსახურება. დანარჩენი 163 ავტომობილი მერიის ცენტრალური აპარატის ჩინოვნიკების განკარგულებაშია. ამ ჩამონათვალში არ შედის მერიის დაქვემდებარებაში შემავალი სხვადასხვა სამსახურებისა თუ კომერციული

სტრუქტურების ავტომობილები. მაგალითად: არქიტექტურის სამსახური, თბილისის სატრანსპორტო კომპანია, ქონების მართვის სააგენტო, თბილსერვის ჯგუფი, სინათლის ქალაქი, თბილისის პორტალი, შპს „ლაბორატორია“ და ა.შ.“ – განაცხადა ვეკუამ.



ავტობარკთან დაკავშირებით გუშინვე განცხადება გაავრცელეს მერიის მიერ და აღნიშნეს, რომ მათი მოსვლის შემდეგ ავტობარკი არ გაუახლებიათ. ამასთან, „ქაბარის შემოჭერას“, ძირითადად, სწორედ ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, ასევე საპრემიო ფონდის ხარჯზე გეგმავენ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯის შემცირება 1 800 000 ლარით იგეგმება.

ოპოზიციონერი დეპუტატის ინიციატივას გამოეხმაურა საკრებულოს იურიდი-

ული კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძე. მისი თქმით, ავტობარკი მხოლოდ მერიის ადმინისტრაციის არ არის, ემსახურება გამგეობებს, მუნიციპალიტეტებს და სიპ-ებს. იმისათვის, რომ მერიის თანამშრომლებმა ჯეროვნად შეასრულონ სამსახური, საჭიროა, სწრაფი გადაადგილება.

კობახიძემ დასძინა, რომ დავით ნარმანიას პერიოდში მერიაში ავტობარკი არ განახლებულა.

„ვერავის დავავალდებულებთ, იარონ ურმებით და ველოსიპედებით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადაადგილება, რათა მერიის თანამშრომლებმა სამუშაო ჯეროვნად შეასრულონ და ემსახურონ ხალხს“, – აღნიშნა იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ.

დამოუკიდებელი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი კი ფიქრობს, რომ ადმინისტრაციული ხარჯის მინიმუმ 20 მილიონი ლარით შემცირება შეიძლებოდა. „ძალიან დიდი იყო ადმინისტ-

რაციული ხარჯი და ძალიან ცოტა იყო, მაგალითად, ავარიული შენობების გამაგრების ხარჯი. უნდა მოაკლონ ახლა ადმინისტრაციული ხარჯს და გაიზარდოს ავარიული შენობების გამაგრების ბიუჯეტი. ეს რომ ასე მოხდებოდა და ასე იყო საჭირო, ამას არ უნდოდა ახლა დიდი კვლევა. შეიძლება ახლა დიდი კვლევა რომ გაქვს ავარიული შენობების გამაგრებაზე და ოთხმოცდაათი მილიონი ადმინისტრაციის შენახვაზე, ეს არის თავისთავად აბსურდი. როგორ გითხრათ, ვითომ ხორციელდება „ქაბარების შემოჭერის“ პოლიტიკა, ეს არ არის სერიოზული ნაბიჯი“, – აცხადებს ელისაშვილი.

ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის თავმჯდომარის განცხადებით კი, თბილისის მერიის მიერ „ქაბარების შემოჭერაზე“ გათვალისწინებული 1 800 000 ლარი არასაკმარისია მაშინ, როცა დედაქალაქის ბიუჯეტში ადმინისტრაციულ ხარჯებზე 90 მილიონი ლარია გამოყოფილი.

ზაზა დანელია

დეზაბეჯი გრძელდება



ქალთა მიმართ ძალადობა მკვინვარებს

ოჯახში ძალადობის დეფინიცია იცვლება, ამის აუცილებლობა განპირობებულია იმ განსაზღვრებით, რომელიც განსაკუთრებით თვალშისაცემი განსაზღვრებაა. ბოლო შემზარავი ფაქტი თელავში მოხდა: მამაკაცმა ქალი სასიკვდილოდ დაჭრა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა.

სტამბოლის კონვენსია ქვეყანაში არ მუშაობს

იმის მიუხედავად, რომ შარშან ივნისში, სტამბოლში მოაწერა ხელი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ევროსაბჭოს კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ჯერჯერობით, ხელშეწყობის ცვლილება თითქმის არც ერთი მიმართულებით არ განხორციელებულა. მეტიც, კონვენციის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტს საშემოდგომო სესიაზე უნდა მოეხდინა, მაგრამ, ამბობენ, რომ შესაძლოა, მიმდინარე საგზაფხულო სესიაზეც გაჭირდეს ამის გაკეთება. ევროკავშირის წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა ატაშე ევა პასტრანა ამას საგანგაშო ვერაფერს ხედავს, რადგან მისი თქმით, ეს პრობლემა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს უდგას, მით უმეტეს ძველ ევროპას, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აკნად მიიჩნევა. ქალთა მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ფორმაა, თუმცა, ევროსაბჭოში ამაზე ფორმალური ფიქრი მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, 2002 წელს შემუშავდა პირველი დოკუმენტი, შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც დაევა ორმხრივი მოლაპარაკებების წარმოება ქვეყნებთან და სამართლებრივი ბაზის მომზადება...

უფლებადამცველები საქართველოში აღიარებენ, რომ ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობა მკვინვარებდა და მკვინვარებს. იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე ამ აზრს იზიარებს: „ბოლო ხანებში აქტუალური გახდა ქალთა მიმართ ძალადობა. ჩვენი სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ ეს სამწუხარო და სამარცხვინო გამოვლინებები. ჩვენ ისეთი ქვეყნის იმიჯი უნდა დავიმკვიდროთ, სადაც სტამბოლის კონვენციით აკრძალულ ქმედებებს ადგილი არა აქვს“, — ამბობს ის.

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით 10-12 კანონში შეიტანენ ცვლილებებს, რომელთა შორის ზოგი ტექნიკური ხასიათისაა, ზოგიც — შინაარსობრივი. სწორედ ამ ცვლილებების მიხედვით იცვლება კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ (რომელიც გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური იყო) ქალთა მიმართ ძალადობით (არა მხოლოდ ოჯახში). მკაფიოდ განიმარტება, თუ რას ნიშნავს ქალთა მიმართ ძალადობა. ეს იქნება გენდერული ნიშნით გამოხატული, ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ა. შ. ძალადობა. ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ. კრიმინალად უნდა შე-

ფასდეს მაგალითად, იძულებითი აბორტი, იძულებითი ქორწინება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება, შევიწროება, უკანონო ადევნება ან თვალთვალ... ყველა დანაშაული — ჩადენილი ღირსების სახელობით... სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფოს მოუწევს კონვენციის მუხლების იმპლემენტაცია, ხოლო პარლამენტსა და სახალხო დამცველის აპარატს მონიტორინგის განხორციელება, რომ ასევე დამატებით მეთვალყურე ორგანო იქნება ევროსაბჭოს საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი, ე. წ. გრევიო. სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა ძალადობის პრევენცია, მსხვერპლის დაცვა და დამნაშავეს დასჯა. პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტი პრობლემა მსხვერპლის დაცვის კუთხით ჩნდება და კანონში შესაბამის ცვლილებებში ყოველი მუხლი მკაფიოდ უნდა გაიხსნოს. მსხვერპლს იცავს სახელმწიფო, თუნდაც ის იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი. შეიძლება მას დაენიშნოს კომპენსაცია, თუმცა, რაოდენობით და რამდენ ხანს, გასარკვევია. აქტიურად მსჯელობენ მსხვერპლის საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ. სახლი მოძალადის კუთვნილება რომც იყოს, მაინც მსხვერპლს უნდა, ხოლო მოძალადეს იძულებით გაარიდებენ. სახელმწიფოს ვალდებულება განდება მოძალადის ფსიქოლოგიური მომზადება, ქვეყნის წესის შეცვლა, მიწის ცნობიერების ამაღლება, მაგრამ სად, როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს ეს, ჯერაც ბუნდოვანია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის კანონი საკუთრების უფლების შესახებ. მსხვერპლი ისარგებლებს ყველანაირი უფასო სერვისით: იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო... იმუშავენ 24-საათიანი ცხელი ხაზი. მოკლედ, მზადება დაიწყო, არცთუ დროულად, მაგრამ მაინც. კანონმდებლობის ევროპულ კონვენციასთან პარალელურად მარტივი პროცედურა რომ იქნება მაინცდამაინც დიდ ინფორმაციას, რადგან სტრასბურგის სასამართლოშიც კი თითზე ჩამოსათვლელია ისეთი საქმეები, რომელზეც ევროპის უმაღლესმა ინსტანციამ იმსჯელა. იმედია „ოჯახში ძალადობა“ ზოგადად გასცდება თავის ვინაობას. მასზე ჯერ მხოლოდ საკონფერენციო დარბაზებსა და საექსპერტო ჯგუფებში მსჯელობენ, მაგრამ დღეს თუ ხვალ საზღვრებს დატოვებს და პოზიტიურ როლს ითამაშებს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში. ნურც ის დაგვიწყნდება, რომ ადამიანის გონებას ამ მიმართულებით მენტალური გაზრდასახვა დასჭირდება. სამაგიეროდ, იქნება ნაკლები დატანჯული, დათრგუნული, შეურაცხყოფილი თუ... მოკლული ქალი!!!

თეა მოსია

მიმართვა

კიდევ რა უნდა მოხდეს?!

ბატონო ბიძინა, ჩემი მომართვა თქვენდამი ღრმა პატივისცემითაა განპირობებული. მსურს, მოქმედი პრემიერ-მინისტრის მიმართ პატივისცემაც ამოავითვე დავადასტურო.

ლია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ასე გაგრძელება შეუძლებელია. დღეს ჩვენს სამშობლოში დაახლოებით ისეთი ვითარებაა, „ხასიდური სწავლანის“ ერთი ეპიზოდი რომ აღწერს: „მონები ხელმწიფობენ ჩვენზე, არა ჩანს მსხენელი მათი ხელიდან.“

ხოლო ასეთი მრუმე სურათია დასახტული, მაგრამ გასაოცრად და საბედნიეროდ, იმედი და სხნაც იქვეა: „მეფის გული წყლის ნაკადულია უფლის ხელში: საითაც ინებებს, იქით მიუშვებს.“ „მეფეში“, ვიდრე მონარქიას აღვადგენდეთ, ზოგადად წინამძღოლი უნდა ვიგულისხმოდ.

რაც შეეხება მონებს, ამის თაობაზე შეგნებულად არ დავკონკრეტდები. ვფიქრობ, არტიფო სეთურის მეტაფორა ისედაც ყველასათვის გასაგებია. „მონების ხელმწიფობა“ უნდა დასრულდეს, რათა ხალხმა შევება რეალურად იგრძნოს. უნდა ეშველოს ეკონომიკას, ლარს, პენსიას, მატერიალურ და სულიერ გასაჭირს, ერის ზნეობას... ამას მხოლოდ ისეთი წინამძღოლი შეძლებს, ვისი გულიც „წყლის ნაკადულები აღმოჩნდება უფლის ხელში“... ბატონო ბიძინა, უნდა დაბრუნდეთ! ეს მხოლოდ საჭირო კი არა, აუცილებელია... ეს თქვენი ვალდებულებაა, რომელიც თავად იტვირთეთ. მძიმეა ეს ტვირთი, მაგრამ უნდა ზილოთ...

ირაკლი ლარიბაშვილი უდავოდ ენერგიული პრემიერია, თანაც, ერთგულებითა და მაღლიერების გრძობით გამორჩეული, მაგრამ ქვეყნისათვის გარდამტეხ ეტაპზე წარმოქმნილ ურთულეს გამონკვევებთან გამკლავება მაინც უჭირს. ეს ბუნებრივია, რასაც თავადაც არ გამოიციხავდით. უთუოდ, ამიტომ განაცხადეთ გადადგომისას, თუ ამის საჭიროებას დავინახავ, დავბრუნდებო. ვფიქრობ, საჭიროებაც და აუცილებლობაც სრულიად აშკარაა. კიდევ რა უნდა მოხდეს, ეს რომ ვინახოთ?!

სომ ხედავთ, უკვე იქამდე მივდივით, რომ თქვენგან განსაკუთრებით პატივდებულ პიროვნებათა ასულნიც კი მთავრობის გადადგომას მოითხოვენ(!)...
ერს, მით უფრო კრიტიკული ვითარებაში, შეუვალი ავტორიტეტით აღჭურვილი ლიდერი სჭირდება.
ამგვარ ავტორიტეტს ქვეყნისთვის განუვლი საშეიღვლი ღვანღი ქმნის. თქვენს ღვანღს კი ყველაზე დაუნახავი და უმაღლივ ვერ უარყოფს.
ეს ღვანღი ისევე თვალსაჩინოა, როგორც სამების დიდი საკათედრო ტაძარი. თქვენ გადადგომის შემდეგაც ბევრს აკეთებთ ერისათვის, რასაც ავისმოსურნენი იმის არგუმენტად იყენებენ, რომ ქვეყანას არალეგიტიმური მმართველი ჰყავს.
ოლიოპური ძალებისათვის ეს არის ერთადერთი „სიმართლე“, რომელსაც თქვენი თავგამოდებული მომხრეებიც ვერაფერს უპირისპირებენ.
სწორედ ეს „სიმართლე“ კვებავს და უსრულდება დებატებს, რასაც საზოგადოება აპათიის საშუალებით მიჰყავს და ერს კატასტროფით ემუქრება.

სარეაქციო ფოსტიდან

ბაზნარბული დედა პარ და პრ ბაზნარბული...

პოლიტიკაში არასოდეს დაინტერესებულვარ, უფრო სწორად, არასოდეს ჩაგრულვარ სხვადასხვა აქციაში, მიტინგებში. უბრალოდ, 2012 წლის ოქტომბერში, ხმა მივეცი „ქართულ ოცნებას“ და ამით გამოვხატე ჩემი პოლიტიკური პოზიცია. ანუ ხმა მივეცი ნაციონალების რევიმის წინააღმდეგ, მათი სიცრუის, სისასტიკის, უტიფრობის წინააღმდეგ.
და არც არასოდეს მინანია „ოცნების“ მხარში დგომა... ოღონდ ამ ბოლოს კი გამიტყდა გული, როცა ჩემი შვილი, ორმოცი წლის უდანაშაულო კაცი, ორი შვილის მამა დავით ციციშვილი პოლიციამ ნაციონალების დროინდელი ყოვლად უღირსი, დაგმობილი მეთოდით — ნარკოტიკის ჩადებით დააკავა, სასამართლომ კი მ წელი მიუსაჯა.
მისი რეპრესირების ტყუილბრძანებით კი ის იყო, რომ ჩემს შვილს „თვალის დაზიანება“ ვაკე-საბურთალოს მე-2 ქვეყანოფილების უფროსმა შოთაძემ. დავითმა ერთხელ რამდენიმე კაცის გასაგონად განაცხადა, რომ უკვირს თუ როგორ დანიშნეს პოლიციის უფროსად ნაციონალური მოძრაობის წევრი შოთაძე. შურისძიებაზეც არ დაახანა. 2014 წლის 23 აგვისტოს შემუშავებული ოპერაციის შესაბამისად პოლიციელებმა გიორგი ტაბატაძემ, ბესიკ ნიქარაშვილმა და ბესიკ შეფერმა დავითი ჩვენი საცხოვრებელი ბინის პირდაპირ მდებარე სკვერში, სადაც სამი დღე უთვალთვალებდნენ, აიყვანეს და პოლიციის განყოფილებაში წარადგინეს, გზაში კი შარვლის უკანა ჯიბეში „უბოვეს“ პარკი ნარკოტიკით. მოსამართლე შოთაშვილმა ხალას სიმართლედ მიითვალა პოლიციელთა ჩვენება, არც კი მოისმინა დავითის სიმართლე და მ წლით პატიმრობა მიუსაჯა მან.
სამიერით მივმართეთ სხვადასხვა ინსტანციას, მაგრამ ამაოდ.
ჩემი შვილი სამშენებლო კომპანიაში მუშაობდა,

მაგრამ როცა ნაციონალური ხელისუფლების ქვეყნის სათვეში მოსვლისას ყველაფერი აირია, უმუშევარი დარჩა. ის ღრმად მორწმუნე ქრისტიანია, სრულიად უანგაროდ ფიზიკურად მონაწილეობს ვაჟა-ფშაველას V კვარტალში საძირკველჩაყრის წინადა სპირიტუალ ტრიმფუგელის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.
შეგახსენებთ იმ ფაქტს, რომ რამდენიმე თვის წინათ ტელევიზიით განმარტდა ფაქტი, რომ პოლიციელებს მირზოვეს და მსვიტის აღმოჩენილი დასაჭერთა წინასწარ შედგენილი 76-კაციანი სია. ერთ-ერთი ასეთი სიით არის დაბატირებული ჩემი შვილიც. სამართალდამცველებმა გულდასმით უნდა გამოიძიონ ნაციონალების და მათი კუდების მიერ ჩადენილი უამრავი მსგავსი დანაშაული, რათა ბლოკმა „ქართულმა ოცნებამ“ საბოლოოდ არ დაკარგოს საქართველოს მოსახლეობის ნდობა და კეთილი განწყობა.
ჩვენს ხელისუფლებას უფერს ევროპის ქვეყნების მაგალითების მოშველიება ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. მაგრამ არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ ხდება იმის მსგავსი რამ, რაც ჩვენთან.
ხელისუფლებას ვთხოვ, დაინტერესდეთ დავით ციციშვილის საქმით, ნუ დატოვებთ უფურაადგებოდ ჯანმრთელობაშერყვეულ პატიმარს, რომელსაც გადამწყვეტილი აქვს შიშობის გამოცხადება, რადგან სამართალს ვერ პოულობს.
პატივცემული რედაქცია, გთხოვთ, დაემხმართ, რათა ხმა მივაწვდინო პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავჯდომარეს ევა ბესელიას. ბოლოს ვისდი ჩემი ასეთი თავგამოდეხისთვის, მაგრამ მე გამწარებული დედა ვარ და არ გამეშტყუნება.
ბადონა ციციშვილი, პატიმრის დედა. 25 მარტი, 2015 წელი.


გამოცხადებული მკვლელობების ძროხიკა

„ამისთვის ყველაწილია გაიზარდა ნადაგი, მთელი წელია, სულ მზადყოფნაში იყო ნაც-მიდინა-საშუალებები, რომლებიც არცთუ წარუმატებლად ნერგავენ საზოგადოებაში „დაბრუნებულ 90-იანებს“, მუდმივად პირველ სიუჟეტებად შუქდებოდა კრიმინალი: დაიწყო მანქანის სარკეების მოტყუებით და გაგრძელდა „დაუთავებებით“ ყაჩაღობებით (რალა წელს გაახსენდა ყველას უთო?!). თბილისის ზღვაზე ნახევრად დაიწვა გასანადგურებელი ნარკოტიკი, რამაც რამდენიმე ახალგაზრდა შეინირა. „საიდან-დაც“ შემოიყარა იარაღი, შემდეგ დაიწყო რეიდები, თუმცა შს სამინისტროს პოლიტიკური ნების გარეშე, ძალიან „უცნაურად“ მოქალაქეებთან უხეში მოქცევის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა: ვარკეთილის პოლიციის უფროსმა ჩოფლიანმა და მისმა მეგობარმა, ცნობილმა ნაცსონდერ-პოლიციელმა გაბულ-დანმა სხვადასხვა დროს, უმიზნოდ სცემეს ხურციძე და შემდეგ მამა-შვილი ბექაურები. მოსახლეობა სამართლიანად გაღიზიანდა... (ჩოფლიანი თუ კიდევ ადგილზეა, „ოცნებას“ ნუ გაუკვირდება ვარკეთილის ამომრჩევლის უკმაყოფილება). შემდეგ, საბოლოო მეთოდები „დაიხვეწა“: უბნებში „ერთბაშად“ იგორ გიორგაძისეული მეთოდების „გაცოცხლება“ დაიწყო მივინყებულმა კონფლიქტებმა, ახალგაზრდებში სოკოსავით აღმოცენდნენ „ნამქებლები“, მაინცდა-მაინც ვერა-ვაკეში გახშირდა კონფლიქტების პროვოცირება და მესხით დაგვეცა ლაშა მახარაძის მკვლელობა, მერე მოხდა ამ მკვლელობასთან დაკავშირებული უცნაური დამთხვევები და, აქედან გამომდინარე, ზუსტად აღვწერე, რა სცენარი იყო უნდა განვითარებულიყო ოქროპირიძე - ერისთავის დაპირისპირება. როგორ ხელოვნურად ხდებოდა მათი პირისპირ შეხვედრის ხელშეწყობა. წარმოგადგინათ, როგორ გაიხარებდნენ „გოგახაჩიძეები“, კონფლიქტის გაგრძელების პრევენცია რომ ვერ მოეხერხებინა მინისტრს?! თუმცა, ალექსანდრე ჭიკაძემ შეძლო და შეაჩერა გეგმის ეს კონკრეტული ნაწილი - ოქროპირიძე ცოცხალია და ერისთავიც!

გაგაფრთხილეთ, რომ ხმაურისანი მკვლელობები გაგრძელდებოდა! გაგაფრთხილეთ, რომ „ოქრიკები“, ზონდერები, ქილერები მრავალად ეყოლებოდა გამზადებული ნაც-ბანდას...

მათი რუპორი ნაც-მედიაც უწყვეტ რეჟიმში მუშაობს - „კრიმინალიზაცია მოიმატა“, „90-იანები დაბრუნდა“, უმართავი ქაოსია, ქვეყანა იქცევა... „უუნარო მთავრობა გაგადგეს!“

ასეც მოხდა, დრო გადის და ყველაფერი მყარდება ნაც-ბანდის სასარგებლოდ, უფრო და უფრო „მიმდებარა“ კრიმინოგენული ვითარება, არა სტატისტიკურად, არამედ გახმაურებული დაკვეთილი მკვლელობებით, რომელთა კვალსაც უმეტესწილად, ნაც-ბანდის შურისძიებების ვერსიებთან მიყვარათ... ნაცისტებთან დაპირისპირებული ბიზნესმენი მერაბ კალანდაძე მოკლულია (ვითომდა სხვა თემას გადაყვა, თუმცა



ბესო ხარძიანის მკვლელობა ნაცების დანაშაულებრივი სისტემის გაგრძელებაა! ვინ იქნება შედეგი?!

დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდების ურთიერთგარისპირების პროვოცირებით, ზუსტად მერაბის მკვლელობა იყო დაკვეთილი. მკვლელების ნაწილი გასამართლდა, თუმცა ეს ჯგუფიც, ქალაქში მოარული ხმების მიხედვით, ასოცირდება უდესიანის ზონდერებთან, რომლებიც ნაც-რეჟიმის დროს, საარჩევნო ყუთების მოტყუებიდან დაწყებული, მოქალაქეების ცემასთან, დაჭერასთან და სხვა მრავალ ბნელ საქმესთან იყვნენ დაკავშირებული.

შემდეგ, ფირცხალავა-სოსანაშვილმა აგვიფთქეს იური ვაზაგაშვილი... არა-და, პროკურატურას დროზე რომ დაემთავრებინა საქმე და დაეკავებინა ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობა, შესაძლოა, ამ უბედურებას გადავრჩენილიყავით... გამოუძიებელია, ვაკის აუზთან, გიორგი გუდაძის მკვლელობის მცდელობა (მანამდე, გუდაძემ ციხის უფროსი ბრეგვაძე სცემა)..

უცნაური ამბები ხდება, თითქოს სხვადასხვა ოპერებიდან, მაგრამ ჯდება გარკვეულ ლოგიკაში... გადამჭრელი ზომები მისაღებია...

ქალაქი დაემსგავსა „გამოცხადებულ მკვლელობათა ძროხიკას“!

მოვკვივლეს უფაჟაცვის ადამიანი ბესო ხარძიანიც!

1. ვინ იქნება შემდეგი ნაც-ანაღურ სროვასთან ცნობილი მებრძოლებიდან? როგორ და ვის ბრძანებით მოხდა ერთსაფეხოვანი წამლის ჩადება (დაკავებიდან 30-40 წუთში, არსებობენ მოწმეები). ვის აწყობდა, რომ ერთსაფეხოვანი დაფაროდა ოქროპირიძეს (მის დაჭერამდე) და

მერე, „შემთხვევით“ (არაერთხელ), შეხვედროდა ციხეში. წესით, ურთიერთდაპირისპირებულ პირებს, ციხის ადმინისტრაცია ყოველთვის ინფორმირებულია და იცავენ უსაფრთხოების ზომებს ვანის მეპაწმურე მსიძე და მესხი ან რატომ მუშაობდნენ აქამდე სისტემაში, ან თუ, გაუშვით, დავიჯერო მათი ხალხი აღარ დარჩა, მირზოვეის ხალხი? ციხის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს დარბაისელის დატოვებული კადრი გოგა გახარია და... რამდენია ასეთი?!

2. ვინ მფარველობდა და ვინ დააწინაურა ის პოლიციელები, ვისაც ვაზაგაშვილი ადებდა ხელს, როგორც მისი შვილის ზურა ვაზაგაშვილის ლიკვიდაციის სპეცოპერაციის მონაწილეებს? მათ შორის, ზონდერ-პოლიციელები ბესელია, რომელიც იძიებს გუდაძის საქმესაც...

3. გიორგი გუდაძის აშკარად, განზრახ მკვლელობის მცდელობის საქმეზე, ვინ მისცა კლასიფიკაცია, როგორც „განზრახ მსუბუქად დაზიანების მცდელობა“? ვინ ცდილობდა ამოღებული ვიდეო-კამერების, სადაც ჩანს როგორ გარბიან დანაშაულები, საქმეში არმოსხვედრას?..

4. ვინ მფარველობს შს სამინისტროში ნაციონალური წარმომადგენლის, გაურკვეველი საქმიანობის „დაცვის სამსახურებს“, რომლებსაც იარაღის ტარების უფლებაც აქვთ და პარალელურად ნახევარი ქალაქი ჰყავთ დანიოვებული „ქველი ბიჭების“ იმიჯით (ისეთებს არ ჩევენ, ვინც არ იჩივლებს). მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხომ არსებობს რალაც მექანიზმები?..

5. გაერკვიეთ, რა ხდება პროკურატურაში და შს სამინისტროში, რომლებიც დამნაშავე ადგილების და მერაბის შვილის კრიმინალი კადრებით არის სავსე და ხელოვნურად ქმნიან კონფლიქტებს, ხელს უწყობენ მკვლელობებს.. ვის სჭირდება წამლის ჩადებები, როდესაც აღარ არსებობს ამის პოლიტიკური ნება, რატომ უნდა გალახონ განყოფილებაში ჩვეულებრივი მოქალაქე, როდესაც აღარაფერ აღარავის ატერორებს, რატომ დასდევს მთელი პოლიცია ავადმყოფ მომხმარებელ ნარკომანებს და ვინ მფარველობს შვერული „ქველი ბიჭების“ „ბლატაობას“, როდესაც მკვლელი ნაც-ზონდერები შეიარაღებული თარეზობენ ქალაქში ვიღაც შს მაღალჩინოსნების ხელდასხმით, ვინ ცდილობს, ხელოვნურად შექმნას ქაოსი და „90-იანები“...

ამდენი რამე ვერ იქნება დაკავშირებული თითო-ორი ადამიანთან, ქსელია, სისტემაა, გაიგეთ!!!!

ეს წერილი მანჩო გიორგობიანმა სოციალური ქსელის, ფეისბუქის მეშვეობით გაავრცელა.

აბსოლუტურად ვეთანხმები. აბა ვის ეყოფა „გამბედაობა“ და იტყვის, თუ რომელი ელემენტარული მედიასაშუალება ადევს ნაცების გავლენისგან თავისუფალი? (რადიო „საქართველოს ხმას“ და „ობიექტივს“ არ ვგულისხმობ).

უკვე ყველა მიხვდა, რომ ის ე.წ. „დებატები“, რომლებიც ამ ე.წ. პოლიტიკურ თოქ-შოუებში იმართება, ბლეფია. ყველა მიხვდა რომ ბლეფია ვითომცდა „მკაცრი განცხადებები“ და მედიაში გამოსული მოდებატე პოლიტიკანები სოფლის ბირჟაზე მოჭორავე დედაკაცებს დაემგვანენ. დაემგვანენ იმიტომ, რომ მათ „მკაცრი განცხადებებს“ და „შემტევტონს“ არანაირი შედეგი არ მოჰყვება. ეს კი პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფოებრივი ნების არქონაა! თუ ნება არ არის, სახელმწიფო კი არა, ბოსელი ვერ აშენდება.

უკვე ამაზრზენი გახდა ნებისმიერი თავის მართლება, ნებისმიერი ე.წ. პოლიტიკური პასუხისმგებლობის ალება!!!

ამაზრზენია აპელირება „თავისუფალ სასამართლოზე“ თუნდაც იმიტომ, რომ იმ სასამართლოში ევლინოციური ბრალდება უნდა შევიდეს!!!

ამაზრზენია პოლიტიკური სტაბილურობაზე საუბარი მაშინ, როცა ყალბი და ლარული პოლიტიკური კურსი, თავად უწყობს ხელს პოლიტიკურ დესტაბილიზაციას!!!

წერილს ოტია იოსელიანის მოტივებზე დაწერილი ერთი სტატუსით დავამთავრებ, რომელიც სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოქვეყნდა: **საქართველოში ხელ შეუწყობელი რომ იყო - ან ნაცი უნდა იყო, ან პიდარასტი. არც ერთი თუ არ ხარ - ან ქვეყნიდან უნდა წახვიდე, ან ხელიდან.**

ჩვენ კი დაველოდოთ შემდეგ მკვლელობას, შემდეგ თვითმკვლელობას და ვუსმინოთ პოლიტიკურ დებატებს!

გიან ბაბრიძე

ალეან-ჩალიანი

პრემიერი ბესო ხარძიანის მკვლელობას ეხმაურება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას, ყველაფერი გააკეთონ ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმის უმოკლეს დროში გამოსაძიებლად. ამის შესახებ ნათქვამია პრემიერის განცხადებაში. ირაკლი ლარიაშვილი ბესო ხარძიანის მკვლელობის გამო მწუხარებას გამოთქვამს და ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

„უდიდეს მწუხარებას გამოთქვამ ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობის გამო და გულწრფელ თანატოლობას ვუცხადებ მის ოჯახს, ახლობლებს. იმედი მაქვს, რომ ამ უმძიმეს ფაქტთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი ძალიან მალე გასცემს პასუხს ყველა კითხვას.“

მეგობრთაგან შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას, გააკეთონ ყველაფერი ამ საქმის უმოკლეს დროში გამოსაძიებლად, რათა დამნაშავეები დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით“, - ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

ინფორმაცია მაქვს, რომ ქილავ ოთხი ალამიანის მკვლელობა იბაბევა

„პატრიოტთა ალიანსმა“ შესაძლოა, დამოუკიდებლობა გამოაცხადოს და ქუჩის აქციები დაიწყო. როგორც პრესკონფერენციაზე „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, თუ ხელისუფლება არ გამოიყენებს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც შესაძლებელია მისიელ სააკაშვილის და ყოფილი ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნების საქართველოში ჩამოყვანისთვის და გასამართლებისთვის, მისი პარტია რამდენიმე კვირაში საპროტესტო აქციებს დაიწყო. ინაშვილის განცხადებით, გადაიკეტება რუსთაველის გამზირი და დაიწყო კარგების აქციები.

„კლავენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებს. ინფორმაცია მაქვს, რომ კიდევ ოთხი ადამიანის მკვლელობა იგეგმება. ამ მკვლელობების ორგანიზებას აკეთებენ მისიელ სააკაშვილი, ადგილობრივი და სხვა კრიმინალი ყოფილი მაღალჩინოსნები. ხელისუფლებამ ყველა მექანიზმი უნდა გამოიყენოს, რომ ეს ადამიანები საქართველოში ყურთი ჩამოათრიონ და პასუხი აგებინონ“, - განაცხადა ინაშვილმა.

მისილ ხარძიანი: სამართალს აუსილაგლად ვიპოვი, უკან არაფერზე დავიხეხ!

„სამსწრესადა, ამ ქვეყანაში მამაჩემმა სამართალი ვერ იპოვა, მე კი სამართალს აუცილებლად ვიპოვი, ამას ყველას ვპირდები“, - განაცხადა მოკლული ბიზნესმენის ბესო ხარძიანის შვილმა მისილ ხარძიანმა. მისი თქმით, თუ სახელმწიფო თვალს არ გაახელს, საქართველოში ბოლო ობოლი არ იქნება, რომელსაც მშობელს დღისით, მზისით მოუკლავენ.

მისი შეფასებით, მსგავსი ფაქტები საქართველოში მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ხელისუფლებაში სახეები იცვლებიან, მმართველობის სტილი კი უცვლელი რჩება.

„90-იანი წლებიდან ასეთ რეალობაში ვცხოვრობთ, მოქალაქეები მუდმივად სამართალს ვითხოვთ“, - ამბობს იგი და დასძინს, რომ გია უდესიანის შესახებ სმენია, მაგრამ ახლა ამაზე საუბრისაგან თავს შეიკავებს. „მალე გამოჩნდება, ვინ იყო მამაჩემის მტერი და ვინ - მოყვარე. გეკითხებით, მერამდენე ადამიანს კლავენ საქართველოში დღემდე და რატომ არაფერ აგებს პასუხს“, - აცხადებს მისილ ხარძიანი.

ინტერპრესი



„ერთმა გეოპოლიტიკურმა სამკუთხედმა მეორე სამკუთხედი უნდა დააბალანსოს“

რატომ არის ღირებულ საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის გეოპოლიტიკური სამკუთხედის არსებობა? ამ საკითხთან დაკავშირებით FOR.GE-ს პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია ესაუბრა.

– ეს გეოპოლიტიკური სამკუთხედი ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ რალაცნაირად დააბალანსოს მეორე სამკუთხედი, რომელიც, ასევე, არსებობს კავკასიაში რუსეთის, სომხეთისა და ირანის სახით. ეს არის ორი რეალური სამკუთხედი, რომელიც მეტნაკლებად აბალანსებს ერთმანეთს. პლუს ამას, საქართველოს რუსეთთან აქვს კონფლიქტური ურთიერთობები, ამიტომ საჭიროა, უახლოეს მეზობლებთან მჭიდრო ურთიერთობა. საერთო პრაგმატული მიზნები განაპირობებს აზერბაიჯან-თურქეთ-საქართველოს სამხრეთ კავშირს. ეს გულისხმობს სეპარატისტული მოძრაობების წინააღმდეგ საერთო ფრონტსაც. აზერბაიჯანსაც ზუსტად იგივე სიტუაცია აქვს, მასაც ანუხებს ეს პრობლემა. ამას ემატება ეკონომიკური კავშირები, ენერგოპროექტები (ბაქო-ჯეიჰანი და სხვა), რამაც სამი ქვეყნის საერთო ინტერესი კიდევ უფრო შეადუღა. ამას ემატება ისიც, რომ თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა და, აქედან გამომდინარე, ჩვენს რეგიონში განხილვება როგორც ნატოს ინტერესთა გამტარებელი. ამიტომ, ეს ურთიერთობები პრაგმატული გახდა, მიუხედავად იმისა, რომ 20 წლის წინათ ბევრს ეს ვერც წარმოედგინა.

– ჩვენი ურთიერთობები ხომ არ გააღიზიანებს სომხეთს, რუსეთსა და ირანს?

– რა თქმა უნდა, ზოგადად, სომხეთისა და რუსეთისთვის ეს დიდად სასიამოვნო არ არის, განსაკუთრებით – სომხეთისთვის, მაგრამ სომხებმა იციან, რომ არც საქართველოს მოსწონს მათი ურთიერთობა რუსეთთან. იმავე სამხედრო ბაზების არსებობა სომხეთში სერიოზული პრობლემა შეიძლება იყოს საქართველოს უსაფრთხოების თვალსაზრისით. თუმცა, ყველა სახელმწიფო თვითონ იღებს საკუთარ საგარეო პოლიტიკაზე ვალდებულებას. სომხები და ქართველები მაინც ახერხებენ პრაგმატულად შესვენას ამ საკითხებს. ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფალნი ისე ახერხებდნენ სტრატეგიული ურთიერთობის განმტკიცებას აზერბაიჯანთან, რომ არ გაეუარესებინათ ურთიერთობა სომხეთთან, რაც დიდი მიღწევაა.

– თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ჩვენთვის მაგალითი უნდა იყოს სომხეთი, რომელსაც შესანიშნავი ურთიერთობა აქვს როგორც რუსეთთან, ისე აშშ-სა და ნატოსთან. საქართველო-აზერბაიჯან-თურქეთის სამხრეთი სამკუთხედი ხომ არ დაანგრევს მითხ სომხეთის ე.წ. ნეიტრალიტეტის შესახებ? წინამდვილებაში, სომხეთი რუსეთისთვის ბევრად უფრო ახლოებული არ არის?

– ჩვენი სამკუთხედი უფრო რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმაა. საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ რუსული დიპლომატია განსაკუთრებით ცდილობდა, საქართველო საერთაშორისო თანამშრომლობის იზოლაციაში მოქცეულიყო, ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, იზოლირებული არ ვყოფილიყავით რეგიონში და აზერბაიჯან-თურქეთთან მჭიდრო კავშირები გვჭირდებოდა. ეს მეტნაკლებად მოახერხა საქართველომ. ცხადია, ეს სამხრეთი პლატფორმა ვერ შეცვლის იმ პლატფორმებს, იმავე ნატოსა და ევროკავშირის უსაფრთხოების სტრუქტურებს, რომლისკენაც მისწრაფის საქართველო. არ უნდა დაგვაინყდეს, რომ თურქეთი ასოცირებული ნევრია, ისევე, როგორც ჩვენ, ოღონდ ის დიდი ხნის განმავლობაში არის ევროკავშირთან, ასევე, არის ნატოს წევრი. აზერბაიჯანს ასეთი ამბიცია, სხვადასხვა მიზნიდან გამომდინარე, არ აქვს. ისინი არ განიხილავენ ევროკავშირს, როგორც მომავალს.


– ხომ არ ფიქრობთ, რომ აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის პრობლემაც აბრკოლებს და მათ კიდევ აქვთ იმედი, რომ რუსეთი რაღაცას გააკეთებს ყარაბაღის დაბრუნების თვალსაზრისით?

– ძირითადად, ეს არის შიდა პოლიტიკური ვითარება. აზერბაიჯანში ხელისუფლება მამიდან შვილს გადაეცემა, რაც დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. აზერბაიჯანი არ არის დემოკრატიის ოაზისი. ეს ართულებს ურთიერთობას ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან. თუმცა, იმის გამო, რომ მათ აქვთ ნათობი, ევროკავშირი იძულებულია, მათთან პრაგმატული ურთიერთობა შეინარჩუნოს. მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით, აზერბაიჯანს აქვს ასეთი პოზიცია, მათ იციან, რომ რუსეთი პოტენციურად მოიაზრება, როგორც სომხეთის მოკავშირე, მაგრამ

უკიდებლობას უზრუნველყოფს?

– რკინიგზის პროექტი, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთისკენ მიემართება და მალე დასრულდება, რეალურად, განხორციელდა მინიმალური თანხით, ანუ აზერბაიჯანმა ასესხა საქართველოს და ეს მოხდა ადგილობრივი ძალებით. ასეთი ტიპის პროექტები ქმნის ალტერნატიულ სატრანსპორტო კორიდორებს და ეს აუცილებელია უსაფრთხოებისთვის, სუვერენიტეტისთვის, ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული მანქანა-მანქანა ერთ სატრანსპორტო კორიდორზე.

– ჩვენთვის ამჟამინდელი რეჟიმი რუსეთის მიმართ ლიბერალიზაცია განწყობილი. არადა, ილია ქაჯაჯაძის იდეა იყო ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს გაერთიანება. ამ თვალსაზრისით, მომავალში მოსალოდნელია ამ სამკუთხედის გაფართოება? სამ-



აზერბაიჯანი მაინც ცდილობს, ბალანსირება მოახდინოს და რუსეთი მათ წინააღმდეგ არ განაწყოს. აქედან გამომდინარე, რუსეთი ახერხებს ორი კურდღლის დაჭერას, ბოლო წლების განმავლობაში რუსეთმა რამდენიმე მილიონიანი შეიარაღება მიიწვია აზერბაიჯანს და, ამავე დროს, სომხეთსაც უფასოდ აწვდის იარაღს. ანუ, რუსეთის ინტერესებშია ამ კონფლიქტის გაყინვა, რათა შეინარჩუნოს გავლენა სამხრეთ კავკასიაში. მართალია, აზერბაიჯან-საქართველოს ინტერესები ბევრ რამეში ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ არის სერიოზული პრობლემაც – საზღვრების დემილიტარიზაცია, მხოლოდ 65%-მდეა საზღვრის დემილიტარიზაცია და ეს პროცესი დასამთავრებელია. ერთადერთი საფრთხე ჩვენს შორის ეს შეიძლება იყოს, რადგან დროდადრო პრობლემა ბია დავით გარეჯთან მიმართებით.

– ის, რომ ამ სამკუთხედის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის რეგიონალური (და არა დასავლეთისგან მოზიდული) თანხები ისარგებლა, მეტ დამო-

კუთხედი ხომ არ გადაიქცევა ოთხკუთხედად და ხომ არ დაიტივრება სხვა წევრების მიერთებით?

– ეს ცოტა რთული საკითხია, გამომდინარე იქიდან, რომ ჩრდილო კავკასია ჯერჯერობით რუსეთის ნაწილია. ამიტომ თურქეთი და აზერბაიჯანი ძალიან ფრთხილდებიან ჩრდილო კავკასიასთან მიმართებით.

– აფხაზეთის გაგლით საქართველო-რუსეთის რკინიგზის გახსნა რა საფრთხეს შეიცავს ჩვენთვის?

– ჩემი აზრით, ეს ძალიან სასიფათო პროექტია, რადგან მას იმდენად ეკონომიკური მოგება არ მოაქვს, რამდენადაც საფრთხე, სამხედრო თვალსაზრისით. ამ რკინიგზის ძირითადი ფუნქცია იქნება, რალაცნაირად, რუსეთს კავშირი ჰქონდეს გიუმრის სამხედრო ბაზასთან და შემდეგ ჰქონდეს პირდაპირი კავშირი ირანთან. ეს გეოპოლიტიკური პროექტი, პირველ რიგში, აწყობს სომხეთს და მეორე – რუსეთს. ჩვენ გვაქვს საკმაოდ დატვირთული პორტები, ანუ ეს რკინიგზა ნაწილობრივ ამ პორტებსაც გაუწევს

კონკურენციას. ეს პროექტი საქართველოსთვის მასში შეიძლება იყოს მისაღები, თუ რალაცნაირად დაკმაყოფილებს საქართველოს ინტერესი სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით, ანუ ფორმალურად თუ არაფორმალურად, ეს გახდება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების ნაწილი და რუსეთი წამოვა დათმობაზე.

– დაღესტნის გზა? ესეც უპერსპექტივოა ჩვენთვის?

– ისტორიულად, გვახსოვს ლეკიანობა. ჩრდილო კავკასიაში შექმნილი სიტუაციის გამო დაღესტნის გზა უფრო სასიფათოა, რადგან საქართველოს რეალურად არაფერს არ აძლევს, უბრალოდ, ეს სჭირდებათ ადგილობრივ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს. ასევე, არსებობს მეორე პროექტი, რომ კოდორის ხეობიდან აფხაზეთი დაუკავშირდეს ჩრდილო კავკასიას, მაგრამ თვითონ აფხაზები არიან ამის წინააღმდეგნი.

– აფხაზეთში არსებობს თურქული ინტერესი. მომავლიდან გამომდინარე, მათ აქვთ ისტორიული კავშირები. აფხაზეთში პერიოდულად ჩაიდან თურქი ყურნალისტები, დეპუტატები. ხომ არ თამაშობს თურქეთი ორმაგ თამაშს და ხომ არ ცდილობს დაახლოვებას რუსეთთან?

– რა თქმა უნდა, თურქეთი ორმაგ თამაშს თამაშობს, თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ, ამავე დროს, მას აქვს საკუთარი ინტერესები აფხაზეთში, რაც არ უნდა დაგვაინყდეს. ამიტომ საჭიროა ბალანსირება. თურქეთის გაუცხოება ამის გამო არ შეგვიძლია.

– ტაო-კლარჯეთის საკითხი?

– ისტორიულ საკითხს არ ვგულისხმობ, არამედ ვგულისხმობ ვაჭრობის თემას თურქეთსა და აფხაზებს შორის, თურქი ბიზნესმენების ინვესტიციები ხორციელდება საქართველოს გვერდის ავლით, ასევე, პრობლემურია რუსულ-თურქული ურთიერთობები. 2008 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ორმაგი სტანდარტით იხელმძღვანელა, ის არ აძლევდა უფლებას, შავ ზღვაში შემოსულიყო აშშ-ის სამხედრო ფლოტი, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის სამხედრო გემების შესვლაზე შეზღუდვა დაწესებული. თურქეთმა ეს გამოიყენა რუსეთთან ურთიერთობის სასარგებლოდ, რათა არ დაეძაბა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა. ამ შემთხვევაში, ჩვენს წინაშე დგება თურქეთისადმი ნდობის საკითხი. უნდა ენდოს საქართველო ბოლომდე თურქეთს, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, რომლის ინტერესებიც რალაცაში ემთხვევა საქართველოს ინტერესს და რალაცაში არ ემთხვევა?!

მანანა ნოზაძე

© ალიან-ჩალიანი

„ახალგაზრდული სენტრი“ - პროპაგანდის სააგენტოში „ნაშრომაროის ჩანაბრეზუ“ საუბრობს

„ახალგაზრდული ცენტრის“ თავმჯდომარე ზურა ქადაგიძის განცხადებით, პროპაგანდის ეროვნული სააგენტოს უფროსი გიორგი არსოშვილი და მისი მოადგილე თეიმურაზ მალრაძე ნაციონალური მოძრაობის ჩანერგვები არიან.

როგორც ქადაგიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს ადამიანები წარმოადგენენ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს და წვლილი მიუძღვით ყოფილი ხელისუფლების დროს სასჯელალსრულების დაწესებულებებში სასტიკი და ადამიანის წამებაზე მორგებული სისტემის შექმნაში.

მისივე ინფორმაციით, არსოშვილი 2010-2011 წლებში სასჯელალსრულების მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, მალრაძე კი სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი იყო. „კარგად მოგესვენებათ, ეს ის პერიოდია, როდესაც ციხეში კლავენ, აუბათიურებდნენ და აწამებდნენ. ეს ადამიანები იყვნენ სასტიკი სისტემის შემქმნელები და მონაწილეები. არსოშ-

ვილი და მისი მოადგილე ატარებენ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს და კონკრეტული სიტუაციის დროს ისინი არა სასჯელალსრულების მინისტრს, არამედ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს გაითვალისწინებენ“, – განაცხადა ზურა ქადაგიძემ.

მისივე თქმით, თავის ავტობიოგრაფიაში სასჯელალსრულების სამინისტროში მუშაობას მალაგს თეიმურაზ მალრაძე, თუმცა დადასტურდა, რომ მალრაძე 2010 წლის შემდეგ ზემოთ დასახელებულ თანამდებობას იკავებდა.

ქადაგიძის განცხადებით, კახა კახიშვილი, რომელიც სამოქალაქო სექტორში ყოფნის დროს ებრძოდა ასეთ ფაქტებს, უნდა დაინტერესდეს ამ პიროვნებების წარსულით და ვინაობით. ქადაგიძის განცხადებით, ეს ადამიანები არიან პოტენციური „საბოტაჟნიკები“, თუმცა მისივე თქმით, ამ დროისთვის მსგავსი რამ მათი მხრიდან არ გამოვლენილა.

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



ირაკლი ალასანიას: საქართველოს ხელისუფლება უარს აცხადებს ჰაერსანიონალდებოთა კავშირების მოდერნიზაციაზე, რათა მოსკოვი არ გააღვივოს

1 ბერძენი გადანაწილება საკითხი: შეუერთდებიან თუ არა დეპუტატები პარტიიდან „თავისუფალი დემოკრატები“ საქართველოს მთავრობის იმპიჩმენტთან დაკავშირებულ ინიციატივას. ამის შესახებ 29 მარტს განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, საქართველოს თავდაცვის უწყების ექსპლემტ-განვლმა ირაკლი ალასანიამ.

შეგახსენებთ, რომ 21 მარტის ფართომასშტაბიანი აქციის შემდეგ, რომელიც მოითხოვდა მთავრობის გადადგომას, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა განაცხადა საქართველოს პარლამენტში კონსულტაციების დაწყების შესახებ მთავრობის იმპიჩმენტთან დაკავშირებით. როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში აცხადებენ, იმპიჩმენტის აუცილებლობა გამოწვეულია ამჟამინდელი ხელისუფლების არასწორი ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკით. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებისთვის აუცილებელია მინიმუმ 60 ხმის შეგროვება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქართველოს პარლამენტში ჰყავს 49 დეპუტატი, ალასანიას პარტიას – 8, ამას კიდევ პლუს ოთხი დამოუკიდებელი დეპუტატი, რომელთაგანაც ერთმა უკვე განაცხადა, რომ მხარს უჭერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას.

ალასანიას განაცხადა, რომ თავდაპირველად „თავისუფალი დემოკრატები“ უარი განაცხადებს შესულიყვენ ალიანსში სააკაშვილის პარტიასთან, რომლის ოპოზიციაც მისი ბევრი წევრი, მათ შორის, ლიდერიც ირაკლი ალასანია, გადავიდნენ ჯერ კიდევ 2007-2008 წლებში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მათ შეცვალეს გადანაწილება და ხელისუფლებას მისცეს ვადა 1 აპრილამდე.

„მოსკოვისთვის ხელსაყრელი“

რუმორც ტელეარხ „რუსთავი-2“-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ალასანიამ განაცხადა, 31 მარტს ვადას გადასს საფრანგეთთან შეთანხმების გაფორმებას საქართველოსთვის „ჰაერსანიონალდებოთა თავდაცვის უახლესი სისტემების“ მიწოდების შესახებ. ეს თარიღი, მისი სიტყვებით, მითითებულია მემორანდუმში, რომელსაც მან, ჯერ კიდევ საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა მოანერა ხელი 2014 წლის ნოემბრის დასაწყისში საფრანგეთის მხარესთან, მიუხედავად აკრძალვისა საქართველოს პრემიერის მხრიდან.

„საუბარი შეეხება საჰაერო თავდაცვის უახლეს თანამედროვე სისტემას, რომელიც აუცილებელია ჩვენი არმიისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის... ასევე საფრანგეთის მხარესთან შეთანხმებული იქნა ფინანსური საკითხიც. ისინი ქვეყანას აძლევდნენ ხანგრძლივ კრედიტს ფასსამოკლებით, ასე რომ, ეს არ აისახებოდა ქვეყნის ბიუჯეტზე“, – განაცხადა ალასანიამ ინტერვიუში, თანაც სხვა დეტალები მას არ გაუშუქავენ.

